საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020150435934017

ქ. ბათუმი

№ 01/01/15 **07 / მარტი / 2017 წ.**

აკადემიური საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის N1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საზღვაო განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნას აკადემიური საკონსულტაციო საბჭო (შემდეგში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

1.1 საბჭოს ხელმძღვანელობა:

ა) მამუკა ახალაძე - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ირაკლი შარაბიძე - სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ რექტორი - თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ნორმან შმიდლი - კონსულტანტებისა და ექსპერტების უფროსი, “კოლუმბია შიფმენეჯმენტი”- საბჭოს წევრი;

დ) ნინო გორგოშაძე - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს უფროსი - აღმასრულებელი მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

1.2 საბჭოს კონსულტანტები:

ა) ფაუზი ფრადი - კონსულტანტი - საერთაშორისო ურთიერთობები და პროექტები, “კოლუმბია შიფმენეჯმენტი”;

ბ) ვლადიმერ შელია - კონსულტანტი - ეკიპაჟის დაკომპლექტებისა და წვრთნების მრჩეველი, “ კოლუმბია შიფმენეჯმენტი”.

1.3 საბჭოს ექსპერტები:

ა) **ლევან ბოლქვაძე** - განათლებისა და წვრთნების ექსპერტი, „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“;

ბ) **ავთანდილ გეგენავა** - ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;

გ) **მარტინ ბანკოვი** - განათლებისა და წვრთნების ექსპერტი, „მარლოუ ნავიგეიშნ";

დ) **რეინერ სტარკი** - განათლებისა და წვრთნების ექსპერტი, „პიტერ დოული";

ე) **გეორგი ვლაკოს** - განათლებისა და წვრთნების ექსპერტი, "ცაკოს კოლუმბია მენეჯმენტი";

ვ) **გიორგი კიკვიძე** - განათლებისა და წვრთნების ექსპერტი, "კოლუმბია შიფმენეჯმენტი";

ზ) **მურთაზ დევაძე** - განათლებისა და წვრთნების ექსპერტი, ლოცმანი;

თ) **რეზა ალაშტი აკბარი** - განათლებისა და წვრთნების ექსპერტი, "კოლუმბია შიფმენეჯმენტი";

ი) **მარკ პენი** - განათლებისა და წვრთნების ექსპერტი, "კოლუმბია შიფმენეჯმენტი".

1.4 **დამკვირვებლები:**

ა) **პარმენ ხვედელიძე** - „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს რექტორი;

ბ) **ანზორ დიასამიძე** - უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელი „ანრი“-ს დირექტორი;

გ) **ამირან მგელაძე** - საზღვაო სასწავლო ცენტრი „ეკვატორი“-ს დირექტორი;

დ) **ქუინსვეი სერვისი** - წარმომადგენელი;

ე) **ბალტიქ გრუპ ინთერნეიშენალ ჯორჯია** - წარმომადგენელი.

2. საბჭო უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს საზღვაო განათლების განვითარების ხელშეწყობა, საზღვაო განათლების სფეროში საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ბ) უზრუნველყოს საზღვაო სფეროში განათლების გაუმჯობესების მიზნით დასახული მიზნების მხარდაჭერა;

გ) ნებისმიერ დროს, ელ.ფოსტის საშუალებით, განიხილოს საზღვაო სასწავლო დაწესებულებების მიერ დაგეგმილი პროექტები, მათი მხარდაჭერის მიზნით, მოთხოვნისამებრ;

დ) საზღვაო სასწავლო დაწესებულებების მოთხოვნის საფუძველზე განიხილოს მათი სილაბუსები და სასწავლო გეგმები;

ე) მონაწილეობა მიიღოს ახალი პროექტების ან სასწავლო გეგმების შემუშავების საორგანიზაციო ჯგუფში;

ვ) ხელი შეუწყოს ქართველი კადეტების და მეზღვაურების პოპულარიზაციას ინდუსტრიაში ჩატარებულ სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმში.

3. საბჭო იწვევს სხდომას სულ მცირე კვარტალში ერთხელ, სადაც განიხილავს საქართველოს საზღვაო სასწავლო დაწესებულებების მიმდინარე და მომავალ პროექტებს და იძლევა რჩევებს და მიმართულებებს. სხდომა შეიძლება გაიმართოს როგორც შეხვედრის ფორმატში, ასევე ვიდეო კომუნიკაციის საშუალებით. შეხვედრების სიხშირე შეიძლება გაიზარდოს საჭიროებისა და მოთხოვნისამებრ.

4. საზღვაო განათლების სფეროს ცალკეულ პრობლემათა შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მოიწვიოს დარგის ექსპერტები ან/და სამუშაო პროცესში ჩართოს სააგენტოს ნებისმიერი თანამშრომელი.

5. საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი, საბჭოს აღმასრულებელი მდივნის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

6. საზღვაო განათლების სფეროს ცალკეულ პრობლემათა შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით საბჭო უფლებამოსილია შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები.

7. საბჭოს ხელმძღვანელობს, დღის წესრიგს ამტკიცებს და სხდომებს წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე.

8. საბჭოს აღმასრულებელი მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს წევრების ინფორმირებას სხდომის ჩანიშვნის თაობაზე, ასევე, სხვა საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფას.

9. საბჭოს სხდომაზე საკითხის წარდგენის უფლება აქვთ საბჭოს თითოეულ წევრს.

10. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება კონსესუსის საფუძველზე.

11. საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის დასრულებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, რომელსაც საბჭოს წევრებთან შეთანხმების შემდეგ, ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და აღმასრულებელი მდივანი.

12. საბჭოს აღმასრულებელი მდივანი უზრუნველყოფს ოქმის მიწოდებას საბჭოს მუშაობაში ჩართული ყველა პირისათვის.

13. საბჭოს პირველი სხდომა მოწვეულ იქნას 2017 წლის 23 მარტს.

14. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

15. ბრძანება დაეგზავნოს დაინტერესებულ პირებს.

დირექტორი  მამუკა ახალაძე